



მ

ე

ს

ტ



1911

საუკველ-კვირბო ლიტერატურული და მხატვრობითი კასეთი.

10 ნომერს

გამოიცემა

№ 12

კვირამბით

1885 წელსა.

ფანა „თეატრა“-სა

წლით ხუთი (5) მანეთი, ნახევარ წლით სამი (3) მან. შეიძლება ნაწილ-ნაწილათ შემოკანა წლის ფასისა: ხელის-მოწერისათანვე სამი (3) მანეთი, მაისში ერთი (1) მანეთი და მარიაშობის თვეშიაც ერთი (1) მანეთი. ცალკე რომელი „თეატრა“-სა ღ. წს სამი (3) შუარი. ფასი განცხადებისა: მეორე გვერდზედ სტრაჟონზე 5 კაპ. პირველზე 10 კაპ. მთელი უკანასკნელი გვერდი 20 მანეთი, პირველი 35 მანეთი.

ხელის მოწერა მაილებს:

თბილისში გრ. ხარკვიანის წიგნის მაღაზიაში და „თეატრა“-ს რედაქციაში. ქუთაისში ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გორში ს. მგალობლის შეილობან. თელავში ი. როსტომაშვილობან. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, Редакция „Театръ“. კორესპონდენტები და საზოგადოთ ნაწერები პ. რ-და-პირ „თეატრის“ რედაქციაში უნდა გამოიკზნუნოს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია ავჯორს ვერ დაუბრუნებს.

ქართული  
დღეს, კვირას,



თეატრი  
10 ნომერს

ქართული დრამატული დასის: გან წარმოდგენილი იქნება:

I

ქოროღლი


ტრეგედია 5 მოქმედ., თსს. 4. ანტონოვისა.

დასაწყისი 8 საათზე.

ქართული თეატრი

მს ორ-ჯელ გინასაკს აკავის სამ-მოქმედობა-ნი გამედა, „გინტო“ სტენაჟედ. ორ-ჯელ-ვე უკმაყოფილოდ გამოკისულვართ თეატრიდ: მ, მაგრამ მა-დამ სტაღის სიტუეები: „გინტო“ უკვლავიუქს შეიგნებს, ის უკვ-ლაფუქს ამატიუბსა — გაგვსხენებია დასსატიეობა ღმრ-ბიეკებასედ შეგვეცლია. ამ აზრას მნიშვნელობას ცო-ტა ჭკეით შეიტყობთ. ერთა საუკეთესოთაგანა მეთოდო, ნამეტნავად ზოეტური თსხულებების დაფასებისა, გას-

დავით, ესრედ წოდებულია, ისტორიული მეთოდი: ბევრ-ჯერ საუკეთესო მწერალი, თუ თავისი ნაჭის მნიშვნე-ლობა აწონილი აქვს და სუქს წამე სარკებლობა მოუ-ტანოს თავის სხსს და საზოგადოებას, იმულებულია უღალატოს ხელგნების სასტიკ მოთხოვნილებებს და, თუ შეიძლება ესრე ვსეკვთ, თავი დაიმდბლას საზო-გადოების გამოკნების და გონებითი მოთხოვნილებების ზომავდე. მაგალითად, ოც-და-ათი — ომმეცო წლის შე-დეგ რომ რომელიმე კრიტიკოსმა აიღოს და გააწმინოს ხვევის ზოეტის აკავის „გინტო“, უკვლეობა რომ ბევრს საუკედუქს უძღვის და სასტიკად შესტუქსავს ხვეის გა-მომხინდლს ზოეტს; შეიძლება იმ უნიჭო, მეკვლავი-მწერ-ლების სადაზრც ხასწეროს, რომელიც სსვა-და-სსხვა საუ-კეთესო მწერლებიდან ჰგლეკუნ აზრებს, აკონკეებს, აკ-ლანებენ და წაღსავს უშნო, უღალათოსა ჰბადვენ. მაგ-რამ როდესაც ისტორიულს მეთოდის მიწინააბთავს, ე. ი. შეისწავლის აკავის თანამედროვე ებოქს, როდესაც ხვეის საზოგადოება გოდფერუს ცირკში და ვლდანელის ჭი-დაობასედ კისერს მიიმტერეკვ და სამშობლო თეატრ-ში კი დიდა სვეწნა-მუღარა და თათქმის ძალადობა იყო საჭირო, რომ ვინმე შეგვეტყუილებინა, მაშინ მთლად მიუტეკვებს აკტორს იმ დანაშუელს, რომელიც მას „გინ-ტოს“ დწერათ დრამატული სელგნების წინაშე ხაუ-დენია. საანბანო ჭეშმარიტება შეიქნა, რომ უკველი ზოე-ტიური თსხულება, — და ნამეტნავად დრამატული, უნდა



იყოს სარკე, რომელშიც უნდა იხატებოდეს ნამდვილი ცხოვრება. აკაკის კომედიის თვით სიუჟეტიც და გმირებიც ამ სოფელიერნი არ არიან. მაგრამ თავით ბოლომდე ისეთი ეფექტებით არის სავსე, იმდენი უიქინა და ურბამულია, რომ ჩვენს საზოგადოებას, რომლის გემოვნებას კარგად შეუწავლია პატივცემულს ავტორს და მისთვის შეუფერება, ძრვილ მხსწონს და „კინტოს“ სახსარად საიმოვნებით მიდის. ამით ახსენება, რომ წარსულ კვირას, ნოემბრის 3, იმდენი ხალხი დაესწრო, რომ ალაგოც აღარსად იყო, ხალხიც ძრვილ კაი გუნებასეფ იყო—იქმდენ, რომ არამც თუ ძრვილ უხვად ტაშის კვრით და „ბრავოს“ ძახილით დასასწრაფეს მოთამაშენი, ვიღამც „ამ უფულაბაში“ სახუჭრის მიერთევატ გაბუდა: ქ. ანდრონიკოვისას მიართვეს ოქროს საათი, ვიღაც „წამსვლელმა თავანის მკემლემა“; და ქ. საფაროვისას, რომელიც ვოდევოლში—„ერიდეთ ცმცხლს“,—ახალ-გაზდა ქალი ნურას როფს აღსრულებდა, მიართვეს ერთი მშენიერი თაიგული. წარმოდგენამ საზოგადოდ რიგინად ჩაიარა და უფრო უკეთესად ჩაივლიდა, რომ მესამე მოქმედებაში კინტოებს მეტის-მეტი ბლარმუნი არ დაეწყოთ იმერელთან, როდესაც სალომე (ანდრონიკოვისა) თავის ქმარს ილიას (მაქსიმოძე) ატყობინებს და უტყუება თავის ოინებში,—და ქ. გიორგობინისას მეტის მეტად არ გადაეჭარბებინა გაბის წავა და ბუქნაობა. ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს და რაც ერთხელ ასაიმოვნებს, დაუინებული თავს შეახიხლებს. განსაკუთრებით ქ. ანდრონიკოვის თამაშობასეფ უნდა ვსთქვათ, რომ ნამდვილს კინტოსეფ უფრო კინტო იყო, თუმცა მყოფებულნი ერთობ გამოყოფილნი დაჩხინენ. ჩვენის ფიქრით, თუმცა სალომე ქუდავს და კინტოს ტანისამოსით ორთაჭაღას მიდის, მაგრამ არ უნდა ივიწყებდეს, რომ ის ქალის და არა ყარა-ზოდელი ბიჭი. ეს უფრო ავტორის ბრალია, რომელსაც სალომე მეტის-მეტად არეულ ტიზდა ქუავს დასატული. სალომე სრულიდაც არა ქავს... მაგრამ, უკაცრავად, ჩვენ დაგვაიწყდა, რომ კინტო თეატრში ხალხის მისახიდავად არის დაწერილი და მასეფ კრიტიკული მსჯელობა მეტი იქნება.

რაც შეეხება ვოდევოლს—„ერიდეთ ცმცხლს“, ჩვენის ფიქრით, ამისთანა ბიესები რომ არ იდებოდეს ჩვენს სტენასეფ, უფრო მეტად უმჯობესი იქნებოდა. ყველა შეატყობდა რა ნაირი უკმყოფილება გამოისახა მყოფრებულთ სასეფ, როდესაც შავლე ქათამაძე (ბ. აბაშიძე) უცხადებს სურას (ქ. საფაროვისა), რომელიც შვილივით გაუხრდა და რომელიც მას მის უმასის, რომ უნდა შეგირთოვო, ჯერ გაზარდო და მერმე შეირთო, ეს მოხდება სოლომე ჩვენს განთლებულს დროში, მაგრამ ეს

უფრო ტოროდას წესია და ჩვენს საზოგადოებაში მისთანა იდეების ქადაგება საჭირო არ არის.

თხზაბათის სპეკტაკლი წარმოდგენდა კინტოტს. ცოტ-ცოტა ყველაფერის ნიმუში გვაჩვენებს, რითაც კი შეუძლიან ჩვენს არტისტებს თავი მოაწონონ და საზოგადოებას ასაიმოვნონ. წარმოდგენა ნაწყვეტებისგან შესდგებოდა და შთაბეჭდილებაც ნაწყვეტ-ნაწყვეტი დაგვიჩხა. ითამაშეს: მეორე მოქმედება სუნდუიანის „შეპოდაში“, მეორე მოქმედება ანტონოვის „სეესურთა ქორწილიდაში“ და ერთ-მოქმედებანი ვოდევოლი „გულმა იგრძნო“. გარდა ამისა, ანტრაქტებში უერავდა აბდულბადირის დასტა, ბ. ფილიპოვიჩის სელ-მიღვანელობით იყო დადგმული ცოცხალი სურათები „გეფხვის-ტყაოსნიდაში“, ანტრაქტებში აკაკიმ წაიკითხა რამდენიმე ლექსი და ყველა ეს დაგვიჩვიდა ჩინებულის ლეკურით. ხალხი უფრო ნაკლები დაესწრო, მინამ „კინტოსეფ“, მაგრამ ამის მიხეზი ის უნდა იყოს, რომ ადგილების ფასები აწუელი იყო. კიდევ მით იყო შესანიშნავი ეს წარმოდგენა, რომ პირველად გამოჩნდენ თეატრში ისინი, ვინც ფოველთვის მოვალეს დადიოდეს. „შეპოდაში“ და „გულმა იგრძნო“ უფრო კარგად გაიარა, მინამ სეესურთა ქორწილიდაში. მსელიც არის სეესური წარმოდგინოს მან, ვისაც, შეიძლება, თვლითაც არ ენახოს სეესური. ქ. საფაროვისას, თითონვე ეცინებოდა თავის დაზარაკეფ და მორცხობით მეტად შორს იყო სეესურის პატარაფხეფ. სწორედ დიდი დასამაულობაა ამ მადლნიჭიერი არტისტის ამისთანა როლებში გამოშკება. სამაგიეროდ ბ. აბაშიძემ და ქ. საფაროვისამ ჩინებულად ითამაშეს „გულმა იგრძნოში“. ცქრიალა და უმანგო ქალის წარმოდგენა ქ. საფაროვის სელობაა. შეპოს როლში გამოიყვანეს ახალ-გაზრდა აქტიორი ი. ცაგარელი, რომელიც უფრო უკეთესი იქნებოდა, რომ ცოტა გაბედულობა ქონოდა. მანც შექნიშკოთ, რომ ახალ-გაზრდა აქტიორი სინიდიოერად ეშყრობა თავის საქმეს და წარმატებას ცდილობს. მშენიერი თვისებაა, ნამეტნავად ჩვენში, სადაც ყველა უნიჭოს თავისი თავი ტყუის კოლოფად წარმოუდგენია. იმეღია, რომ თავის დროსეფ ცაგარელი ჩინებული აქტიორი დადგება. სიფრთხილე სჯობია თავსეფობას, მაგრამ გადაჭარბებული არაფერი არ ვარგა და არ უნდა დაუვიწყოთ, რომ „ბრძენი სიფრთხილით წახდება“.

დავით სოსლანი.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

# მ უ ზ ა ს



ქეოფა მუზავ! ესოდენი ხნის  
გამუდმივებით ჩემი წამება;

ჩამომეცალე აილე ხელი.  
მე არ დავეძებ და არად მინდა  
მოპოვებული შენით დიდება

და თვით შოეტა დიდი სახელი.  
მსურს, რომ გავაღრმავო შეფოთვას და ტანჯვას;  
რომ საუკუნოდ განმარტოებული,  
მზაკვართა ხელი არ მომწვდებოდეს.  
რომ გულის ძებრა, გიჟური გრძობა  
და თვით ოცნება სულს. შემოფოთებულს  
წმიდა კავშირით ეთანსმებოდეს.

და ჩემებური ჩანგის ყელრა,  
ღვთაების ძალით აღმოფრენილი,  
ჩემს სევდებსა თანაუგრძობდეს.  
ციურ ნუგეშსა ჩემს დასამშვიდათ,  
თვით ზეცდიამვე გამოსეტყვილი,  
ხმა იღუმალი ჩამომასმენდეს.

## ე ე ლ ტ ა ნ ი

მ უ რ ა ლ ა ი თ ხ ო ვ ა ს .

### თ ა ვ ი IV

(შემდეგი\*)

— მურა, მურა! დაიძახა გიგუამ. მურა  
არსად იყო. იმან გაიმეორა ძახილი. მუ-  
რა მანც არსადა სჩანდა. საშინელი ფიქრი  
მოუვიდა გიგუას: „ნუ თუ მართლად ვაბგდეს  
ის უბედური ძალი? ნუ თუ წუნანდელი  
თავისი სიტყვები ვაძმართლად წვეულმა მარია-  
მმა? მაგრამ მაძა ჩემი? სად არის ისა? რად  
მისცა იმან ამის ნება, რად?“ წამოიძახა გი-

და შავი ფიქრი, უცხოთ მღელვარი,  
აღმაშფოთებული, გულის მოძვლა  
ერთს წუთას მანც მომცილდებოდეს.  
შორს—ღრუბლებთ შორის, მთლად ფერ-მისდილი  
წყნარისა ბუტყით, ბედის ვარსკვლავი  
იმედის ბინდში შედიმებოდეს.


და თუ ბედისგან უარყოფილი,  
მეგობრებისგან დავიწყებული  
აღარ ველოდე ნეტარებასა,—  
ეს გული მანც ცხოველი ცნსლით  
გარემოცული და აღგზნებული  
შასუსს აძლევდეს აღტარებასა.  
როდეს იმედი, ქენჯნისა ნაცვლად,  
ვით სივარული დავიწყებული,  
მუზავ ჩემს გულში დაისადგურებს,  
მასინ სურვილიც გამოუთქმელი,  
ამდენისა ხნით მიმქრალებული  
გვლავ აღენთება, გამოიღვიძებს.

რ. აღისუბნელი.

გუამ და გიგვიით ვაზარდა გარეთ მურისა ს-  
მებნელად. იმან ძალე ვაიარა სოფელი და  
გავიდა იმ ველსედ, სადაც არის დედათა-მო-  
ნასტერი. იქ დახვდა მწვემსი ბიჭი, რომელიც  
ამოვებდა ათიოდ დუქნის ცხვარს ახლად მომ-  
კილ ქერის ნამჯას.

— გამარჯვება, იაკორ!  
— „გაგიძმარჯოს, გიგო!“  
— თუ ღმერთი გრწამს, ჩვენი მურისა სომ  
არ გინახამს?  
— „მე ვნახე თქვენი მურისა დილას ვან-  
თიადისას, იმ სამგლეს დაეჭირა მთელი ჰური  
და აი იმ ბილიკსედ მიდიოდა მთისკენ. მე  
ვესროლე ჯოხი; მინდოდა ჰური დამეკვდებინე-  
ბინა, მაგრამ იმან ურციც არ მათსოვა და  
წყნარისა ნაბიჯით შეუღვა მთას“. ამ ამბავმა

\*) იხილე „თეატრი“ № 11.



შეტკობინა ვეჟლაფერი გიგუას. ის ცოტას  
სანს სრულიად გაშტერებული იდგა, შემდეგ  
წამოსტა და გოჭოვით ვაიქცა იმ ბილიკისკენ,  
რომელსედაც მიუთითა იაკობამ.

— მურა გააგდეს! ევიროდა გიგუა,  
მურა გააგდეს! ოს, უღმერთო მარიაჲ, მამ  
შენ გაამართლე შენი ქაჯური ახრი, შენ დაკარ-  
გე მურიან და მკარგავ მეც? წვეულებაც იეოს  
ამისათვის შენი სასელი! იცნოვრე მარტო; ვნა-  
ხოთ ამითი რა შეგემატება, და მე კი, მამავ,  
ვერა მნახავ შენს სახლში, მინამ ან ცოცხალს,  
ან მკვდარს არ ვიპოვნი მურიას...

ეს იეო ნამდვილი გარდაწვევტილება გი-  
გუასი და ამან ცოტა არ იეოს დამშვიდა ის  
და უფრო ბეჯითად შეუდგა მურიას ძებნას.

დაღონებულმა, კატაცებულმა მწარე ფი-  
ქრებით გიგუამ აიარა ჯაგებსა და წვრილ სეებ  
შუა მიძავალ ბილიკსე და ავიდა ჰატარა ველ-  
სედ. იქიდან მან გადმოჰსედა მცხეთას. მის წინ  
მძლავრად ამართულიყვნენ დედათ-მონასტრის  
ეკლესია და სვეტი ცსოველი; მის წინ გაფენი-  
ლი იეო თვითონ სოფელი თავის ორი მშე-  
ნიერი მდინარით, რომლებიც ჰსვდებოდენ რა  
იქ ერთმანერთს, ეროდენ ერთმანეთში, უხვე-  
ვდენ ჯვარ-ჰატოისნის მთის მარჯენივ მდებარე  
ველს და იქვე ემალებოდენ თვალს. სა-  
სართავს ქვემოდამ მოჩანდა ჰატარა კუნძული.

— „აგერ ის ალაგი, სადაც იღწიობოდა  
მამა ჩემი; აგერ ის კუნძული, რომელსედაც  
გამოიტანა მურიამ თითქმის სრულიად დამ-  
ღწვალად გოგია,“ ფიქრობდა გიგუა, „დიდი  
ხანი არ არის, რაც ეს ამბავი მოხდა, მაგრამ  
ისე მალე დაივიწყეს მურიას ამბავი. მე წინა-  
თვე ვიცი მამი ჩემის ჰასუსი: „მე არ გამო-  
გდიაო,“ მაგრამ ტუეილია სუეველაფერი:  
ის იმითი არის დამნაშავე, რომ მაინც გა-  
გდებულა ესლა მურიან. საწყალი მურიან! სად

არის ის ესლა? რომელ ჯაგში წყნარს იქნებოდა?  
რი, ან რა უნდა ჰამოს ამ ტუეში? რას ფიქ-  
რობს ის ჩვენსედ, ჩემსედ, რას? ოს, ღმერთო,  
მე ვიწვი სირცხვილით მამი ჩემის მაგიერ! არა  
მე მერ მოვისვენებ, მინამ არ გიპოვნი, ჩეო  
ბებერო მეგობარო, და არ წავიგვან შინ“. სთქვა  
ეს და გასწია სეევით. ის უფრო დიდ ტუეში შე-  
ვიდა. სეები სცემდენ მას ტოტებს, ჯაგები ჰკაწ-  
რავდენ სელებს და ჰირი-სახეს, მაგრამ ის მაინც  
დაუყოვნებლივ მიდიოდა წინ და ტუის შუა გუ-  
ლიდამ სან ერთი მხრიდამ, სან მეორიდამ გაის-  
მოდა იმისი ევირილი, რომლითაც უმხნდა მე-  
რიას. მაგრამ ჰასუსათ მარტო მთების გამოხ-  
მობა იეო, რომელიც თითქოს დაცინვით ეო-  
ეოველ მახილსედ გამოჰკიოდა უკანვე: — „მურა,  
მურიან“!

ბევრი იარა გიგუამ. იმან შემოიარა მთე-  
ლი ტუე და გასწია თეთრი მთისკენ, რომ იქი-  
დამ კიდევ დაეთვალეირებინა დაბლა მდებარე  
ადგილები; მაგრამ ეველა ცდა ტუეილი იეო:  
მურიან არსადა სჩანდა. ბევრი სიარულით დაი-  
ქანცა გიგუა. საშინელი ცხელი დღე დადგა; მას  
წყალი მოსწეურდა და საშინლად მოშეფდა და  
ამ ამბავმა თითქოს შეურყია საძირკველში ის  
გარდაწვევტილება, „რომ შინ არ დაბრუნებული-  
ეო, მინამ მურიას თან არ წაიგვანდა“. იმან  
ესლა-ლა გაიგო, რა მხელიც იეო ცსოვრებას-  
თან ბრძოლა; ესლა-ლა სცნო, რა ბი რძიკ სა-  
ფუძველსე იეო დამეარებული მისი გარდაწვე-  
ტილება. შეუბრალებულმა შიმშილმა შეატკობინა  
მას, რომ ადრე თუ გვიან ის მოანახვინებდა  
მას თავის მამის სახლს. იმან ესლა-ლა ასწო-  
ნა სასამდვილის სასწოროთ, რა ბმოლასაც მეს-  
დგომოდა და იმ შიმში, რომ ის დამარცხებუ-  
ლი გამოვიდოდა იქიდან, მთლად გააქრიალა  
ტანში. გიგუას შეეჯავრა კაცის სისუსტე და ჰირ-  
ველად იეო დღეს მხედ ენატებინა თავის მამი-

სათვის მუროს გაკდება. მაგრამ თვის კარ-  
დაწვევებილებას თავი მანც არ დანება და  
თავის თავს ფიცი მისცა შეძლებისა და კვარად  
აღესრულებინა იგი.

— „საწვალ ბებერი მურია! გააკდეს მუ-  
რია, გააკდეს! სადა ვნახო მე მეორე იმის-  
თან არსება, რომელიც იმისაებ შეიძლება  
დაუყვებელივ და სმის ამოულებელივ წასვლას  
იმ სახლიდამ, სადაც ათი წელიწადი ერთ-  
გულად ემსახურებოდა. მე ვიცოდი მურიას  
ერთგულება და იმიტომაც მიუვარდა ის,  
მაგრამ თუ იმისი სულგრძელება აქამდის მი-  
ვიდოდა—მე ამას თავის დღეშიაც ვერ წარმო-  
ვიდგენდი და ესლა, როდესაც ის დაკარგულია,  
ესლა ვიცან მე ის მთლად და მინდა ვიპოვნო,  
რომ მსურვალედ გადავკოცნო ის“. სთქვა კი-  
გუამ და თვალეში ცრემლი მოერიო.

— მურა, მურა! გულ-ამოსკვნით და მალა  
გასმასა კიგუამ და ეს მახილი ბურთივით მოხვ-  
და მთებს და ტყეს და ისევ ისე, მხოლოდ უფრო  
ეროდ, დაბრუნდა უკან. კიგუა გაცდა: წასუსად  
თითქოს საიდღამაც ქვეიღამ მოისმა ძაღლის  
ღმუილი.

— მურა, მურა! უფრო ძან შესმასა ძან და  
უფრო გულ-მოღვინეთ დაუგდო უური. სელ-  
მეორედ მოხვდა იმისი ხმა მთა-ტყეს, სელ-მეო-  
რედ დაბრუნდა ის ხმა ისევ ისე უკან, მაგრამ  
ძაღლის ღმუილი კი აღარსად იყო, მარტო  
იმის ერთ მხარეს მიწურობილს უურს უფრო  
გარკვევით მოესმა დიდებული მსუილი არაგ-  
ვისა.

კიგუამ მანც უფურადღებოდ არ გაუშო  
ის ღმუილი და წამოვიდა იმ მხარეს, საიდა-  
მაც იგი ძან მოესმა .ის ჩამოვიდა კსა-ტყეცილ-  
ზე, გაუარა ბებრის ცინი-მთას, მივიდა არა-  
გვსე და მსურვალედ დაეწაფა წვალს. დიდი  
ხნის შიშშილით, წუერვილით და სიარულით

დაქანცული კიგუა ისე გაირუქლა წელით, რომ  
ერთბაშთ სისუსტე იგრძნო მუსლებში და ტან-  
ში და საჭიროდ დაინახა ჰატარა ხანს წამო-  
წოლილიყო იქვე ხის ძირას, რომელიც დიდ-  
რონ კლდის ქვებში იყო ამოსული. მიწოლა  
და თვლემის დაწეება ერთი იყო, იმას უნდოდა  
ძილთან ბრძოლა, მაგრამ მწარედ-და გაიღიმა,  
როდესაც დაინახა, რომ იმოდენა ღონე აღარ  
ქქონდა. ნოტიოანმა სიომ და არაგვის მსუილ-  
მა თავის ჩუულებრივი გავლენა იქონიეს და  
კიგუას მოერიო ძილი.

ი. რევიშვილი.

(უმადვი იქნება)


აღორჩეული აზრები ჭიანქის, ხელოვნების შესახებ  
ხელოვნება \*).



მ დროების ხელოვნება უნდა მოისმოს,  
თორემ იმის ჰრინციში ულაგო აღაგს  
ფესკს იდგამს, როგორათაც, უწინდე-  
ლი დრო რომაელების იმპერიისა. ის  
ჰრინციში აწყო დროს არ ეთანხმება. ეგოისტური და  
განმარტობითი ცხოვრება მსატყარის თვისებანი არიან,  
მაგრამ ბერძნული და ფლორენციელი მსატყრები აგრე არა  
ცხოვრებდენ. ისინი ისეთი მაღალ-სულთანი იყვნენ,  
რომ არავითარი ჯვარი და უკუღმა სოფლის ბრუნვანი  
არ აღშობდა და არც აღელვებდა იმათ გონებას, იმათ  
უოკელივე ბუნებითი წილმა-უკუღმა ბრუნვა შეთვისებული  
ქქონდათ. მაგრამ ასალი დრო კი ასაღს ხელოვნებასა ჭიან-  
დავს, რომელიც ხელოვნებას თან ჭარმონიულათ შეკავ-  
შირებული იქნება. თუ სამეარო და ხელოვნება იღუშები-  
ან? უეჭვლია იმის სასწორო გადასძლეკს, რომელიც კე-  
როპიის ლიტერატურაში შეუობს. ან იქნება სიკვდილის  
უქანასკნელი მოჩვენება? (9. 150).

უოკელივე რასაც კი ხელოვნებაში აღტაცებაში მოკვე-  
ვართ, ჩვენ გმირათ მიგვაჩნია, მაგრამ ჩვენ ესტეტიკები კი  
ეგრე არა ფიქრობენ. მუდმივი სიმშვიდე და უფრებლო-  
ბა კი, საუკუნო ვნებაა, რომელიც არ აღელვებს. (2. 139).  
ის ბუნება, რომელიც უწინ მსატყრებს თავის მო-

\* იხილეთ «თეატრი» № 11.



დელს აძლევდა, ესლა იმთ ჳბამავს. სიტკობების გემო  
ეკელა საღსმა იგრძნო, როგორცთაც რდესმე სორტი  
სულსკედ მოქმედებდა, ესლა ვი სული სორტსკედ მოქმე-  
დობს: (7. 91).

სელკონება დიდის სნობით იტალიის უბირველესი  
გამამშენიერებული იყო, ესლა ვი სრულიად სიღამაზეს  
უკარგავს; მსატკარი ჩვენ თვალწინ გვიშლის იმის იდუ-  
მალს სიმშკენიერეს, ის მსარე რომელიც რდელსაც თავის  
იარაღით გვიწერობდა, შემდეგ თავის სიტყვიერებით,  
ესლა ვი თავის სიმშკენიერით გვიწერობს. (6. 134).

დიდს და წარჩინებულს მსატკარს შეუძლიან ზოგჯერ  
მცირედით დაგვიანტოს, მაგრამ მეტს ვი ვერ დასატავს.  
(6. 231).

მსატკარი ის ბავშვია, რომელსკედც ზღაპარი  
ღამაზაკობს, რომ ყოველივე იმისი ტრემლი აღმასთ  
იქცაო (6. 218).

მსატკარი ის მძინარე პრინცესაა, რომელიც ღამით  
ბღღადის ბღში დადიოდა, უღრმოესის და ბრძნულის  
სიყვარულით აღტურვილი, სუგეთესო ვაკვილებს ჳკრეფდა  
და უგრძობლად გასარცარს გვირგვინს სწნავდა (6. 129).

ნიტიერი მსატკარი სიკვდილამდე მცდელობას არა  
ჳკარგავს სსვა-და-სსვა ახალი ნყოფები ჳბადოს; იმას  
თავმოყვარობა არ იყენებს, სსხლეტავს, იგი გრძნობს,  
რომ თან-და-თან აღმატებაში მიდის; სიმსიერეს არა ჳკარ-  
გავს, რომ სრულს უწინარესობამდისინ მივიდეს, მაგრამ  
გენიოსი ვი ერთბამად ჳბადავს უფრო მალავს; ის გვა-  
ყოფილია, იმას სძულს ქვეყანა და შინისკენ მიდას, რა-  
გორცთაც შექსპირი სტრატეფორში, ან არა და იტინის,  
სჯის და დასვირნობს, როგორცთაც როსსინი (7. 93).

მანც აჳ, საფრანგეთში უიმისოთაც ბევრი სამსკედ-  
რო წოდების საღსნი არიან, მეფემ ტიულერის ბღის ეკელა  
სტატუის ძირში დაჩავა უნდა დააყენოს, რომ ავღრინ  
დღეებში ქოლკები გაუშდონ, აი, სწორედ მამინ იქნება  
ნამდვილი სელკონების მთავრელობა. (6. 155).

მსატკარობა ტეფილი მოჩვენებაა, მსოლოდ ქანდა-  
კობას შეკრთებული სინათლით შეუძლიან ფორმის  
მოძრავობა დაგვიანტოს. მაშხალა, რომელიც გარედ-  
გან სტატუის ანათებს, ისე გვიჩვენება თითქოს ში-  
გნითაც განათებულიაო. (2. 79).

ივ. ჳაჯანაშვილი.

(შემდეგი იქნება)



„თეატრის“ კორესპონდენცია

ჳთათინი, 1 ნოემბერს. ერთი თვეა ავერ, რაც ქუ-  
თაისში შესდგა ქართული დასი ბ. ვ. მესხის თაოსნო-  
ბით და ჳერ-ჳერობით წარმდტებითაც მიდის ახალი და-  
სის საქმე. სამი თუ ოთხი წარმოდგენა გამართეს და  
საზოგადოება ყოველთვის გვიყოფილი დაჩნა წარმოდ-  
გენისა. კარგი დასაწეისი ამ დიდად სასარგებლო საქ-  
მისა იმით აისსება, რომ აქტიორები ერთობ გულ-  
მოდგინედ ეწერობიან თავიანთ საქმეს და ბეჯითად ამ-  
ზადებენ როლებს. თვითონ რეჟისორი, ვ. მესხი, სავ-  
მოდ დასელკონებულის ამ საქმეში და მუყაითად და  
სიყვარულით მოჳკიდა საქმეს სელი. როგორც აქტიორს,  
ამას იტინებს მკითხველი საზოგადოება, და ჩემის მხრით  
აჳ პატვიით უნდა მოვიხსენო ის, როგორც რეჟისორი  
მუყაითი და სავამოდ სტენის მცოდნე... ახალ აქტიორ-  
ებში, ვაკებში, შროიანად ასრულებს თავის როლებს  
ს. გოგ—შვილი და სხვებიც კარვით თამაშობენ იჳ, ს-  
დაც შესაფერი როლები შესვდებათ. ქალებში თავიდგან-  
ვე გამოიხინა ნიჭი რეჟისორის, ვ. მ—სის დამ, ფ—კომ.  
ეს ქალბატონი, ჩვენის აზრით, კომიკურ როლებს უფ-  
რო ღამაზათ ასრულებს, მინამ სხვებს, და სჯობია,  
შექლებიან-და-გვარად, კომიკური როლები აირჩიოს.

დაიცა შეეხება მეორე მოთამაშე ქალს, ვ. მიქელა-  
ძის ასულს, ჳერ გარდაწვევით ვერ ვიტყვით რასმე  
იმის შესახებ. ეს ვი შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ის თან-  
და-თან კეთდება და უფრო-და-უფრო ცოცხლად და შრო-  
იანად ასრულებს თავის როლებს. მსოლოდ, ჩვენის აზ-  
რით, შესაფერ როლებს ვერ ირჩევს, ან უკეთ ვსთქვათ,  
არ აძლევენ: იმას სტენასკედ უფრო დამშკენდება ახალ-  
გაზდა ქალის როლში გამოსვლა, მინამ დედაბრის როლ-  
ში, ამიტომ რომ, რაც უნდა ვსთქვათ, საზოგადოებას  
მარტო კარგი თამაში ვი არა, კარგი მოხდენილი სასკედ  
სტრის თვალს და სტატებს გონებას...

დასასრულ ეს უნდა ვსთქვა, რომ საზოგადოება  
დიდი მადლობის ღირსია, რადგან თანაგრძნობა აღმოუ-  
ჩინა ქართულ თეატრს და დაიწყო საკმარად სშირად  
სიარული თეატრში. პირველ წარმოდგენებზე ნაკლებად  
დადიოდა საზოგადოება და შემოხსავალიც სულ არ  
რჩებოდა, ამიტომ რამდენიმე პირმა ითავეს სელის-  
მოწერის გამართვა, აბონიმენტის დაარსება და ვკონებ  
ამის მიხეზი იყო, რომ უკანასკნელ წარმოდგენასვე  
(„არსენას“ ადგენენ) ადგილიც არსად იყო ცარიელი,  
ისე გაიტენა თეატრი, და მოთამაშეებმაც არ სჯამეს სირც-  
ვილი: იმით დაჩანსკეს საზოგადოებას, რომ ცდილობენ  
არ დასტეილონ ევ საზოგადოებას...

ერთი სიტყვით, სასიჭადულოა ეს მოვლენა: ქართული თეატრი ფეხს იდგამს! ამ საზოგადოებრივ დავიანსა, რომ ის ქართულს დრამატიულ სელავენებს სულითა და გულით თანაუგრძნობს!..

\*\*\*

შემოღობი სიუჟარულისგან \*)

დ რ ა მ ა ხ უ თ ს ა ქ ტ ა დ

თხზულება ღონ მანუელ ტამაისი და ბაუსისა.

ს ც ე ნ ა II.

ადმირალი, პაჟი, შემდეგ ღონ ალვარი.

პაჟი. ვილაც ბატონს, რომელიც თავისთავს კაპიტან ღონ ალვარს უწოდებს, ადმირალის ნახვა ჰსურს.

ადმირალი. ღონ ალვარი! ამ საათში სთხოვე მობძანდეს. — (შაჟი გადის) დროზიდაც მოვიდა!... (ღონ ალვარი შეჰმოდის შუა სტენაზე) გამარჯობათ, ჩემო სახელოვანო გმირო, ჩემო მამაცო მეგობარო! კეთილი იყვეს თქვენი აქ მობძანება.

ღონ ალვარი. შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ სასახლეში კი არა, მტრის ბანაკში შესიხნარ.

ადმირალი. როგორ, თქვენ არა გსურთ მე ხელი ჩამომართოთ?

ღონ ალვარი. მე მგონია, რომ ხელის ჩამორთმევა ცოტაა კიდეც; მე მიინდა გაკოცოთ კიდეც.

ადმირალი. მე თქვენი ვარ საუკუნოდ—უკუნისამდე.

ღონ ალვარი. ბედმა მთელი წელიწადებით დაგვაშორა ერთი-ერთმანეთს.

ადმირალი. მართი ეს მითხარით: როგორ მოხდა ეს—რომ მე თქვენ ტუდელე-დე-ლეუროში გხედამთ, როდესაც იტალიაში მეგულებოდით? უამბეთ თქვენს მეგობარს—რა ბედნიერმა, თუ უბედურმა გარემოებამ მოგიყვანათ თქვენ აქ ჩვენთან.

ღონ ალვარი. არა, ჯერ თქვენ უნდა მითხრათ: მართალია ის, რაზედაც ეხლა მთელი ქასტილია ლაპარაკობს?

ადმირალი. დიხს!... მართალია ის—რომ სახემწიფოში საშინელი შიმშილობაა, ჩვენს უნაყოფიერო პროვინციებში სხვაგნადად შემოაქვთ პური, მეფე შილიპე ცდილობს დედოფლის, ხუანასას,

დატყვევებას იმ საფუძვლით—რომ ვითომ დაიწყო შემოილილი იყვეს, მაგას უნდა რომ წავლიჯოს დედოფალს ხელიდგან დალიჯი და მიეცეს ტირანულ მიდრეკილებას და უსირცხოვნებას. შეველა ეს მართალია?—

ღონ ალვარი. მაშ, არ არის ჭკუაზე შემოილილი?

ადმირალი. მისი შემოილილება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ მას უყვარს იგი.

ღონ ალვარი. მაშ, ძალიან უყვარს თავისი ქმარი?

ადმირალი. ვერ შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ.

ღონ ალვარი. ის კი სტუქსავს, აწვალებს, აჯავრებს განა?

ადმირალი. უწყალოდ. იგი ფიქრობდა დედოფალი მუსიენტესში დაეტოვებინა და თვითონ მართო ვალიადოლიდში წასულიყო. მხლა ჩვენ ბურგოსში მივდივართ; და აქამდის აქ ჩერდება, რომ შეიტყოს შეიძლება, თუ არა აქ მისი დატოვება. ბურგოსში კიდეც ეცდება იმის თავიდგან მოშორებას.

ღონ ალვარი. დავიჯერო არ მოგეპოვებათ ხერხი, მოულოთ ბოლო ბოროტ-ხმარებათა და განძრახვით აესტრისის ერც-გერცოვისას, რომელიც ღმერთმა სასჯელად მოგვივლინა.

ადმირალი. სუყველა გრანდები მაგისკენ არიან.

ღონ ალვარი. მაგრამ ხალხს ხომ ეჯავრება იგი და თაყვანსა სცემს იზაბელა-ფრანგის ქალს.

ადმირალი. თვითონ დედოფალი უარ-ჰყოფს სუყველა შეთქმულებას მისი ქმრის საწინააღმდეგოდ და თავის სასარგებლოდ. მაგრამ ამაზე ლაპარაკი შემდეგისთვის გადავდოთ... მხლა თქვენ მიამბეთ თქვენი თავ-გადასავალი.

ღონ ალვარი. ჩემი ისტორია ძალიან მოკლეა. მე იტალიაში ვიყავი, დიდი მხედართ-მთავრის კამანდის ქვეშ ვიბრძოლეთ ფრანკუზებთან, ორი თვეა რაც ქასტილიაში დავბრუნდი და, როგორც ეტყობა, უბედურ საათზე.

ადმირალი. განა რა მოგივიდათ?


ღონ ალვარი. მზაზე ჩემი უწინდელი წყლულები ამეშალნენ და ავად-მყოფი ვიწექი ქალაქის ახლო მდებარე სასტუმროში. ღლეს პირველად ამდგარეარ ლოგინიდან.

ადმირალი. ახლა, ხომ კარგათა ხართ?

ღონ ალვარი. თითქმის.

ადმირალი. მინ იყო თქვენი მორჩენის მიზეზი?

\*) იხილეთ „თეატრი“ № 11.



**ღონ ალვარი.** მართი ქალი.

**ადმირალი.** ოჰო, ქალი გარეულა?..

**ღონ ალვარი.** ღიახ, ჩემდა საუბედუროდ. იგი გამომეკვა იტალიაში და მერე ქასტილიაშიაც წამომყოლიყო. მოსვლისთანავე იგი სასტუმროს პატრონის ბიძაშვილის სახელით გამომეცხადა სასტუმროში, სადაც მე ვიწვექი.

**ადმირალი.** იმ ქალმა მოგარჩინათ?

**ღონ ალვარი.** ღიახ... მს უცხოელი ღირსია პატივის-ცემისა.

**ადმირალი.** ვინ არის იგი?

**ღონ ალვარი.** მეფის ასულია.

**ადმირალი.** თქვენა ხუმრობთ!..

**ღონ ალვარი.** სულაც არა. მისი მამა მეფე ზაგალი ყოფილა.

**ადმირალი.** მავრიტანკა, ქალი ბრენადიის უბედური მეფისა?

**ღონ ალვარი.** -ჰჰ, მე უფრო ბედნიერი ვიქნებოდი, რომ სრულიადაც არ გამეცნო!

**ადმირალი.** რატომ?

**ღონ ალვარი.** იგი მე თაყვანსა მცემს, მან დაიფარა ჩემი სიცოცხლე თავისი განუსაზღვრელი მზრუნველობით, და მე კი მალე უნდა გავამწარო იგი, მალე უნდა დავღეწო ის ჯაჭვები, რომლებითაც ჩვენ შეკავშირებულნი ვართ და რომლის ტარებაც ამას იქით არ ძალ-მიძს.

**ადმირალ.** ლამაზია ხომ?

**ღონ ალვარი.** უმშვენიერესი.

**ადმირალი.** მაშ რატომ არ გინდათ განუზიაროთ მას თქვენი სიყვარული?

**ღონ ალვარი.** მე ჩემს სიცოცხლეში მეყვარება მარტო ერთი დედაკაცი, რომელიც ძალიან იშვიათად შემხვედრია; დიდი ხნობით ეყოფილვარ მის-

გან მოზორებული და იგი თავის დღეში ვერ მიხედება იმ გრძობებს, რა გრძობებიც ჩაუნერგავს მას ჩემთვის.

**ადმირალი,** და თქვენ გგონიათ, რომ ის არსება გიყვარს?

**ღონ ალვარი.** მიყვარს, თუ არა—ეს მე არ შემიძლიან ვსთქვა. მე არ ვიცი სიყვარულია ეს, თუ არა... მაგრამ ეს გრძობა ტრიალებს ჩემს სულში უშიშრად, უიმედოთ, უნდომოთ. მე მიყვარს რაღაც ოცნება, რაღაც მოგონება, რაღაცა აჩრდილი. მე ვიცი, რომ იგი არსებობს, რომ იგი როდისმე გამოცხადდება ჩემს თვალებს ისე, როგორც ერთი იმ მნათობთაგანი, რომელიც გამოჩნდება და ჩანთქება ხოლმე მიუწოდომელ ცაში. იმან გადმიქცია ოცნება სინამდვილედ, მე ვგრძობ, რომ ვითომ მიტყერას იგი, ლაპარაკობს ჩემთან, თვალს მადევნებს ყველგან, მამხნევებს, ომში მხდის შემეფაეად და სამვილობოში—კაცთ მოყვარედ. მას პირველი ჩემი სულ-თქმა და მასვე უკანასკნელი! ღიახ, ეს ის სიყვარული არ არის, რომელსაც გვიწოდებენ ყოველი დედა-კაცი, ეს თაყვანებაა სიწმინდისა, ზეციური არსებისა,—ერთი სიტყვით ჩემი მფარველი-ანგელოზისა! თქვენ ილიმებით მეომარის ბაგიდგან აღმოსულ სიტყვებზე, იმ მეომარისა, რომელიც დაჩვეულია სასტიკ საბანაკო ცხოვრებას და ბრძოლის ჩოჩქოლს? მაგრამ წარმოიდგინეთ თქვენ ნაზი ყვავილი რკინის ფინჯანში და გაგმელებათ ნამდვილი სურათი ჩემი გულისა.

**ადმირალი.** არა, მე ჩემს სიცოცხლეში არ შემხვედრია მგ გვარი უცნაური კაცი.

აღ. ნ—თ—მე.

(შემდეგი იქნება)

რედაქტორა და გამომცემელი გ. ანაშიძე.

ს ო მ ხ უ რ ი

18



თ ე ა ტ რ ი

85

ს ა მ შ ა ბ ა თ ს,

12 ნ ო ე მ ბ ე რ ს

სომხური დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

**I**  
ვ ა რ თ ა ნ მ ა მ ი კ ო ნ ი ა ნ ი

ისტორიული ტრეგედია 5 მოქმედ. სამღერით.

**II**

დ უ ქ ა ნ ი ბ ა მ ბ ა რ დ ო ს ი ს ა

მოდვეილი 1 მოქმედ.

**III**

ღ ი ვ ე რ ც ი ს მ ე ნ ც ი

1. ზატ. ვართიქიანი იმღერებს ჭაკეტის ოპერადამ, 2. ქალ. ალმა წაიკითხავს ლექსებს, ვ. ხორღო იმღერებს სამშობლო სმებს.

დასაწყისი 8 საათზე.

ს ო მ ხ უ რ ი თ ე ა ტ რ ი

1885

სუთშაბათს, 14 ნოემბერს

სომხური დრამატიული დასისაგან ქალ. ვარდუის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

**I**

ს ა თ ა ბ ა ლ ა

ქომედია 4 მოქმედ., თხზ. ვ. სუნდუქიანისა.

**II**

ღ ი ვ ე რ ც ი ს მ ე ნ ც ი

დასაწყისი 8 საათზე.